პრეზიდენტი თომას ს. მონსონის მიერ



მზად ვართ?

ამ შემოგარენში, სადაც ერთხელ ვცხოვრობდი და ვმსახურობდი, ეკლესიას ჰქონდა შინაურ ფრინველებთან დაკავშირებული პროექტი, რომელშიც ძირითადად ადგილობრივი მეურვეობის მოხალისეები იყვნენ დასაქმებულები. უმეტეს შემთხვევაში ეს იყო კარგად ორგანიზებული პროექტი, რომლის შედეგადაც ეპისკოპოსის საწყობი ივსებოდა ათასობით ახალი კვერცხითა და ასობით კილოგრამი დაკლული ქათმით. თუმცა ზოგჯერ ქალაქური მოხალისეობა ფერმაში არა მხოლოდ ხელებზე ბურცებს, არამედ გულისა და გონების გაცრუებას ნიშნავდა.

მაგალითად, მე ყოველთვის მეხსომება დრო, როცა ჩვენ აარონის სამღვდელოების ახალგაზრდა მამაკაცები შევიკრიბეთ საგაზაფხულო დასუფთავების სამუშაოს ჩასატარებლად. ჩვენმა ენთუზიასტურმა და ენერგიულმა გუნდმა სწრაფად ამოაძრო, შეაგროვა და დაწვა დიდი რაოდენობის სარეველა და ნარჩენები. კოცონის მოციმციმე შუქზე ჩვენ ჰოთდოგებს ვჭამდით და ერთმანეთს კარგად შესრულებულ სამუშაოს ვულოცავდით.

მიუხედავად ამისა, იყო ერთი კატასტროფული პრობლემა: ცეცხლი და ხმაური იმდენად აწუხებდა 5000 ფაქიზ კვერცხისმდებელ ქათამს, რომ მათმა უმეტესობამ შეწყვიტა კვერცხის დება. ამის შემდეგ ჩვენ დავთმეთ სარეველა, რათა მეტი კვერცხი გვქონოდა.

ეკლესიის არც ერთი წევრი, რომელიც ეხმარებოდა გაჭირვებულებს, არასოდეს არ დაივიწყებს და არ ინანებს ამ გამოცდილებას. სიბეჯითე, მომჭირნეობა, დამოუკიდებლობა და გაცემა ჩვენთვის უცხო ხილი არ არის.

ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ საუკეთესო სასაწყობო სისტემაა – ყოველმა ოჯახმა ეკლესიაში იქონიოს საკვების, ტანსაცმლისა და სადაც შესაძლებელია, სხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ნივთების მარაგი. უფლის საწყობი მოიცავს ეკლესიის ერთგული წევრების დროს, ნიჭს, უნარ-ჩვევებს, თანაგრძნობას, შემოწირულ მასალებსა და მატერიალურ საშუალებებს. ეს საშუალებები ეხმარება ეპისკოპოსებს გაჭირვებულთა დახმარებაში.

ჩვენ დაჟინებით ვთხოვთ ყველა უკანასკნელ დღეთა წმინდანს, წინდახედულად დაგეგმონ ცხოვრება, იყვნენ თავშეკავებულნი და თავი აარიდონ დიდ ან არა აუცილებელ ვალს. მრავალი ადამიანი შეძლებდა ეკონომიკური ცხოვრების აღელვებული ტალღებიდან თავის დაღწევას, თუკი მათ ექნებოდათ საკვებისა და ტანსაცმლის მარაგი და იქნებოდნენ ვალისგან თავისუფალნი. დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ მრავალმა ეს რჩევა უკუღმა მიიღო: მათ ვალების მარაგი დააგროვეს, საკვები კი არ გააჩნიათ.

მე გავიმეორებ იმას, რაც რამოდენიმე წლის წინ გამოაცხადა პირველმა პრეზიდენტობამ:

„უკანასკნელ დღეთა წმინდანებს მრავალი წლის განმავლობაში აძლევდნენ რჩევას – გადადონ გარკვეული რაოდენობის თანხა, რათა მზად იყვნენ არასასურველი გარემოების შექმნის

შემთხვევისთვის. ასეთი მიდგომა ძალიან ეხმარება უსაფრთხოებასა და კეთილდღეობას. ყოველ ოჯახს აკისრია ვალდებულება – მაქსიმალურად უზრუნველყოს საკუთარი საჭიროებანი.

"ჩვენ გვინდა წაგაქეზოთ, მსოფლიოს რომელ კუთხეშიც არ უნდა ცხოვრობდეთ, მოემზადოთ არასასურველი პირობებისთვის ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით. ჩვენ დაჟინებით გთხოვთ, მოკრძალებულად დახარჯოთ ფული; შეიკავეთ თავი, რათა საყიდლების გამო არ ჩავარდეთ ვალში. რაც შეიძლება მალე დააბრუნეთ ვალი და განთავისუფლდით ამ მონობისგან. სისტემატიურად გადადეთ ცოტაოდენი ფული, რათა თანდათან დააგროვოთ თქვენი ფინანსური მარაგი".[1]

ვართ მზად ცხოვრებაში გაუთვალისწინებული მდგომარეობის შესახვედრად? დავხვეწეთ ჩვენი უნარ-ჩვევები? ვცხოვრობთ ეკონომიურად? ხელთ გვაქვს ხელუხლებელი მარაგი? მორჩილნი ვართ ღვთის მცნებების დაცვაში? ვართ მგრძნობიარენი წინასწარმეტყველების სწავლებების მიმართ? მზად ვართ გავცეთ ღარიბებისა და ღატაკთათვის? პატიოსანნი ვართ უფალთან?

ჩვენ ვცხოვრობთ მშფოთვარე გაჭირვების ჟამს. მომავალი ხშირად უცნობია, ამიტომ გვაიძულებს, მომზადებულნი ვიყოთ გაურკვევლობისთვის. როცა მოვა გადაწყვეტილებების მიღების დრო, მომზადების დრო უკვე წარსულში იქნება დარჩენილი.

შენიშვნა

1. The First Presidency, *All Is Safely Gathered In: Family Finances* (pamphlet, 2007).

ამ მოწოდების სწავლება

მათი საჭიროებების გათვალისწინებით, ვისთანაც სტუმრობთ, მოიფიქრეთ, თუ როგორ შეგიძლიათ დაეხმაროთ მათ იყვნენ უფრო დამოუკიდებელნი დასაქმების, ფინანსების, კვების მარაგის ან გაუთვალისწინებელი სიტუაციისთვის მომზადების საკითხებში. იფიქრეთ იმაზე, რომელი უნარის გაზიარება შეგიძლიათ მათთან (მაგალითად: ბაღის მოვლა, ფინანსების მართვა) რაც ძალას მისცემთ მათ, მიჰყვნენ პრეზიდენტ მონსონის რჩევას.

ახალგაზრდები

მე კვლავ ვემსახურე

ჯაინე არაუჯოს მიერ

ერთხელ, მსახურების პროექტის დასრულების შემდეგ, მე სამლოცველოსთან ჩავიარე და დავინახე ორი და, რომლებიც შენობას ასუფთავებდნენ. მე უბრალოდ ვკითხე მათ: „დებო, დახმარება ხომ არ გჭირდებათ"? ერთ-ერთმა მათგანმა გამიღიმა და მითხრა, რომ კარგ დროს მოვედი, რადგან ისინი მხოლოდ ორნი ალაგებდნენ შენობას და ძალიან დაიღალნენ. მან თქვა, რომ ილოცა იმისთვის, რომ უფალმა ვინმე გამოუგზავნოს დასახმარებლად. მე მიხაროდა, რომ გავხდი პასუხი მის ლოცვაზე. მეც ეს-ესაა მსახურების პროექტი დავამთავრე და ძალიან დაღლილი ვიყავი, მაგრამ გულის კარნახს მივყევი და ისევ მსახურებას დავთანხმდი.

სიხარულით მუშაობა არის მცნება (იხ.მოძღვრება და აღთქმები 24:7). როცა ჩვენ გაგვაჩნია სურვილი მუდმივი მსახურებისა, ჩვენ შეგვიძლია დავეხმაროთ საოცრებების მოხდენას სხვა ადამიანების ცხოვრებებში. ჩვენი ცხოვრება უფრო აზრიანი ხდება, როცა სხვებს ვემსახურებით. უფალს ჩვენ ვუყვარვართ, იგი ეხმარება თავის ყოველ შვილს და იგი მოგვცემს მსახურების ძალას.

ავტორი ცხოვრობს რიო გრანდე დო ნორტეში (ბრაზილია).

ბავშვები

მზად ხართ?

პასუხები: ჭეშმარიტი, ჭეშმარიტი, მცდარი, ჭეშმარიტი, მცდარი

პრეზიდენტმა მონსონმა თითოეულ ჩვენგანს გვთხოვა მოვემზადოთ მძიმე პერიოდისთვის და სხვებსაც დავეხმაროთ, როცა ისინი რთულ მდგომარეობაში იმყოფებიან. გაიარეთ ეს პატარა ტესტი ჭეშმარიტებასა და მცდარზე, რათა დაინახოთ, ხართ თუ არა მზად.

მე ყოველთვის შემიძლია ვიპოვო ის, ვისაც დახმარება ესაჭიროება. ჭეშმარიტი ☐ მცდარი ☐

მე შემიძლია მადლიერი ვიყო ყველაფრისთვის, რაც მაქვს. ჭეშმარიტი ☐ მცდარი ☐

მე არ გამაჩნია არანაირი ნიჭი, რომელსაც სხვებს გავუზიარებდი. ჭეშმარიტი ☐ მცდარი ☐

მომავლისთვის ფულის გადადება კარგი აზრია. ჭეშმარიტი ☐ მცდარი ☐

ბედნიერებისთვის ახალი ტანსაცმელი და სათამაშოები მჭირდება. ჭეშმარიტი ☐ მცდარი ☐

© 2014 by Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/14. თარგმანი დამტკიცებულია: 6/14. თარგმანი *First Presidency Message, September 2014*. Georgian. 10869 131

იესო ქრისტეს ღვთიური მისია: ნუგეშისმცემელი

რწმენა • ოჯახი • მოწყალება

ლოცვისეული განწყობით შეისწავლეთ ეს მასალა და ეძიეთ გაიგოთ, თუ რა უნდა გაუზიაროთ სხვებს. როგორ ზრდის მაცხოვრის როლისა და ცხოვრების გაგება თქვენს რწმენას მასში და ლოცავს მათ, ვინც თქვენ გაბარიათ, სტუმრად მოსული მასწავლებლის როლში? დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ reliefsociety.lds.org.

ეს არის შინა მასწავლებლის გზავნილების სერიათა ნაწილი, რომელიც ასახავს მხსნელის მისიის ზოგიერთ ასპექტს.

იესო ქრისტე დაგვპირდა: „ობლად არ დაგტოვებთ, მოვალ თქვენთან“ (იოანე14:18). იგი მოგვცემს „გვირგვინს ნაცრის ნაცვლად, მხიარულებას – გლოვის ნაცვლად“ (ესაია 61:3). რადგან ქრისტე ჩვენი გამოსყიდვის გამო იტანჯა, იგი არ დაგვივიწყებს. „ჩვენმა მხსნელმა აიღო საკუთარ თავზე . . . ჩვენი ტკივილები, ტანჯვა, და გასაჭირი, რათა სცოდნოდა, რას ვგრძნობთ და შეძლებოდა ჩვენი ნუგეში“, თქვა მოწყალების საზოგადოების გენერალური პრეზიდენტობის მეორე მრჩეველმა ლინდა ს. რივსმა.[1]

იმის ცოდნა, რომ იესო ქრისტე გვანუგეშებს, გვგვრის სიმშვიდეს და შთაგვაგონებს, სხვებისთვის მსახურებით მივყვეთ მის მაგალითს. პრეზიდენტმა თომას ს. მონსონმა თქვა: „ჩვენი სახარების ცოდნა და მამაზეციერისა და მხსნელის სიყვარული გვანუგეშებს და მხარს დაგვიჭერს და გულს სიხარულით აგვივსებს მაშინ, როცა ჩვენ პატიოსნად ვივლით და მცნებებს დავიცავთ. არ მოიძებნება ამ ქვეყნად არაფერი, რაც დაგვამარცხებს“.[2]

წმინდა წერილიდან

იოანე 14:18, 23; ალმა 7:11–13; მოძღვრება და აღთქმები 101:14–16

ჩვენი ისტორიიდან

ელეინ ლ. ჯექმა, მოწყალების საზოგადოების გენერალურმა პრეზიდენტმა, თქვა: „სტუმრად მოსული მასწავლებლის პროგრამის შედეგად ჩვენ ერთმანეთს ხელს ვუწვდით. ხელები კი ხშირად ამბობენ იმას, რასაც ხმა ვერ ახერხებს. თბილი ჩახუტება დაწერილი წიგნების ტომებზე მეტს მეტყველებს. საერთო სიცილი გვაერთიანებს. გაზიარების მომენტს სულში სიახლე შემოაქვს. ჩვენ ყოველთვის არ შეგვიძლია შეწუხებული ადამიანის ტვირთის აწევა, მაგრამ ჩვენ შეგვძლია ამ პიროვნების სულიერად ამაღლება, რათა მან შეძლოს ამ ტვირთის ტარება“.[3]

ჩვენი პიონერი მოწყალების საზოგადოების დები „პოულობდნენ სულიერ ძალას ურთიერთ სიყვარულსა და თანაგრძნობაში. . . . როცა ავადმყოფობისა და სიკვდილისგან იტანჯებოდნენ, ისინი ერთმანეთისთვის რწმენით ლოცულობდნენ და ერთმანეთს ანუგეშებდნენ. ‘ღვთის სიყვარული გულიდან გულში გადადიოდა’, – წერდა ჰელენ მარ უიტნი, ‘სანამ ბოროტი არ გახდებოდა იმდენად უძლური, რომ ვერ აღდგებოდა ჩვენსა და უფალს შორის და მისი სასტიკი ისრები, ზოგიერთ შემთხვევაში, ვერ მიაღწევდენ მიზანს’”.[4]

შენიშვნები

1. Linda S. Reeves, “The Lord Has Not Forgotten You,” *Ensign* or *Liahona,* Nov. 2012, 120.
2. Thomas S. Monson, “Be of Good Cheer,” *Ensign* or *Liahona,* May 2009, 92.
3. Elaine L. Jack, in *Daughters in My Kingdom: The History and Work of Relief Society* (2011), 119.
4. *Daughters in My Kingdom,* 171.

განიხილეთ შემდეგი

როგორ გამშვიდებთ იმის ცოდნა, რომ უფალს თქვენ ახსოვხართ?

© 2014 by Intellectual Reserve, Inc.ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/14. თარგმანი დამტკიცებულია: 6/14. თარგმანი *Visiting Teaching Message, September 2014.* Georgian. 10869 131